



კლასი



2017 წ. საგაზაფხულო სეზონი
დამატებითი ტური

სახელი, გვარი, ტელეფონი

სკოლა

მათემატიკის მასწავლებელი

1) კახამ ჩაიფიქრა რიცხვი 9, გელამ კი ჩაიფიქრა კახას ჩაიფიქრებული რიცხვის მომდევნო რიცხვი. ნათიამ შეკრიბა კახას და გელას მიერ ჩაიფიქრებული რიცხვები.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა რიცხვი ჩაიფიქრა კახამ?

1) რიცხვი 10

2) რიცხვი 9

3) რიცხვი 8



ბ) რა რიცხვი ჩაიფიქრა გელამ?

1) რიცხვი 10

2) რიცხვი 9

3) რიცხვი 8



გ) რა რიცხვი მიიღო ნათიამ?

1) რიცხვი 17

2) რიცხვი 18

3) რიცხვი 19

2) ნინო რიგში მეცხრე დგას, ნოდარი კი – მეხუთე.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) მერამდენე დგას ნინო რიგში?

1) მეხუთე

2) მეშვიდე

3) მეცხრე



ბ) მერამდენე დგას ნოდარი რიგში?

1) მეხუთე

2) მეშვიდე

3) მეცხრე



გ) რამდენი ადამიანი დგას ნოდარსა და ნინოს შორის?

1) ორი

2) სამი

3) ოთხი

3) მასწავლებელმა დაფაზე ყველა ერთნიშნა კენტი რიცხვი დაწერა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენნიშნა რიცხვები დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?

1) ერთნიშნა

2) ორნიშნა

3) სამნიშნა



ბ) როგორი რიცხვები დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?

1) ლუწი

2) კენტი

3) მრგვალი



გ) რას უდრის მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვების ჯამი?

1) 25-ს

2) 20-ს

3) 14-ს

4) ნაყინი 70 თეთრი ღირს. კანფეტი კი – 10 თეთრი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რა ღირს ნაყინი?

1) 70 თეთრი

2) 50 თეთრი

3) 10 თეთრი



ბ) რა ღირს კანფეტი?

1) 70 თეთრი

2) 50 თეთრი

3) 10 თეთრი



გ) რამდენი გვეკუთვნის ხურდა 1 ლარიდან, თუ შევიძენთ 1 ნაყინს და 1 კანფეტს?

1) 20 თეთრი

2) 30 თეთრი

3) 90 თეთრი

5) ნინო ოცლარიანი სათამაშოს საყიდლად ფულს აგროვებს. მას უკვე 8 ლარი აქვს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი ლარი აქვს ნინოს?

1) 20 ლარი

2) 12 ლარი

3) 8 ლარი



ბ) კიდევ რამდენი ლარი სჭირდება ნინოს, რათა შეგროვებული ჰქონდეს სათამაშოს ფასის ნახევარი?

1) 2 ლარი

2) 8 ლარი

3) 12 ლარი



გ) ყველაზე ცოტა კიდევ რამდენი ლარი სჭირდება ნინოს, რათა შეძლოს სათამაშოს ყიდვა?

1) 8 ლარი

2) 12 ლარი

3) 20 ლარი

6) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა უმცირესი ორნიშნა რიცხვი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენნიშნა რიცხვი დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?

1) ერთნიშნა

2) ორნიშნა

3) ათნიშნა



ბ) რა რიცხვი დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?

1) რიცხვი 1

2) რიცხვი 10

3) რიცხვი 99



გ) რამდენი ხუთეულია მასწავლებლის მიერ დაწერილ რიცხვში?

1) ერთი

2) ორი

3) ათი

7) თემო 3 წლის არის. გიორგი თემოზე 1 წლით უფროსია, ხოლო ნანა გიორგიზე 3 წლით უფროსია.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი წლის არის თემო?

1) 1 წლის

2) 3 წლის

3) 4 წლის



ბ) რამდენი წლით უფროსია გიორგი თემოზე?

1) 1 წლით

2) 3 წლით

3) 4 წლით



გ) რამდენი წლის არის გიორგი?

1) 1 წლის

2) 3 წლის

3) 4 წლის



დ) რამდენი წლის არის ნანა?

1) 4 წლის

2) 5 წლის

3) 7 წლის

8) მაკოს აქვს მხოლოდ ერთი 50-თეთრიანი და რამდენიმე 10-თეთრიანი, სულ ერთად ერთი ლარი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი 50-თეთრიანი აქვს მაკოს?

1) ერთი

2) ორი

3) სამი



ბ) სულ რამდენი ლარი აქვს მაკოს?

1) ერთი

2) ორი

3) სამი



გ) რამდენი თეთრი აქვს მაკოს 10-თეთრიანებით?

1) ათი

2) ხუთი

3) ორმოცდაათი



დ) რამდენი ათთეთრიანი აქვს მაკოს?

1) ათი

2) ხუთი

3) ორმოცდაათი



9) დედას ჰქონდა სამი 5-ლარიანი, ორი 20-ლარიანი და ერთი 100-ლარიანი. უფროს შვილს მან ასლარიანი მისცა, უმცროსს კი – 15 ლარი. რამდენლარიანები დარჩა დედას?

1) 5-ლარიანები და 20-ლარიანები

2) მხოლოდ 5-ლარიანები

3) მხოლოდ 20-ლარიანები



10) ნინო, მაია და სოფო სამსართულიან სახლში ცხოვრობენ. მაია ნინოზე ხუთთ ცხოვრობს, სოფო კი პირველ სართულზე ცხოვრობს. ვინ ცხოვრობს მეორე სართულზე?

1) სოფო

2) მაია

3) ნინო